



GEORGIAN FOUNDATION FOR
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

მსოფლიო პოლიტიკაში აშშ-ის და რუსეთის
გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური
გავლენის შედარებითი ანალიზი

ნიკა ჩიტაძე

111

ექსპერტის აზრი





საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ქსენოფონის აზრი

ნიკა ჩიტაძე

**მსოფლიო პოლიტიკაში აშშ-ის და რუსეთის
გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური
გავლენის შედარებითი ანალიზი**

111

2018



პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2018 წელი

ISSN 1512-4835

ISBN 978-9941-8-0643-8

შესავალი

„ცივი ომის“ დასრულების პირველ ეტაპზე რუსეთსა და აშშ-ის შორის შედარებით თბილი ურთიერთობები ჩამოყალიბდა. ორმა ქვეყანამ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო, უსაფრთხოების, კულტურულ თუ სხვა სფეროებში რიგ შეთანხმებებს მოაწერა ხელი, რითაც ორმხრივი ურთიერთობების განვითარებისათვის შესაბამისი სამართლებრივი ბაზა ჩამოაყალიბა. თუმცა, უკვე 21-ე საუკუნის დასაწყისში, განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც აშშ ავღანეთსა და ერაყში საომარ მოქმედებებში იყო ჩართული, ხოლო რუსეთმა ნავთობდოლარებიდან მიღებული შემოსავლების ზრდის შედეგად საერთაშორისო ასპარეზზე პოზიციების გამყარება დაიწყო, ორ ქვეყანას შორის უკვე უფრო მეტი წინააღმდეგობა არსებობდა, ვიდრე ინტერესთა თანხვედრა.

წინამდებარე ნაშრომის მთავარ მიზანს წარმოადგენს აშშ-სა და რუსეთს შორის არსებული დაპირისპირებისა და ორი სახელმწიფოს ეკონომიკური პოტენციალის დეტალური ანალიზი. შესაბამისად, შესაძლებელია დაისვას რამდენიმე კითხვა: არის თუ არა დღევანდელი მსოფლიო უფრო უსაფრთხო, ვიდრე „ცივი ომის“ დროს? არის თუ არა აშშ კვლავ ჰეგემონური ძალა მსოფლიოში? როგორია დღევანდელი მსოფლიოს საერთაშორისო სისტემა, „უნიპოლარული“, „ბიპოლარული“ თუ „მრავალპოლარული“? გადაიქცა თუ არა რუსეთი გლობალურ გეოპოლიტიკურ მოთამაშედ და ა.შ.

„ცივი ომის“ შემდგომ არსებული რეალიზი – დასავლეთის კეთილი ნება და რუსეთის პასუხი

სსრკ-ის დაშლის შემდეგ დასავლეთი რუსეთში და მთლიანად პოსტსაბჭოთა სივრცეში დემოკრატიზაციის პროცესს ხელს მსჯობდა. გასაგებ მიზეზთა გამო, დასავლეთი და, პირველ რიგში, აშშ განსაკუთრებულ ყურადღებას საერთაშორისო დემოკრატიულ საზოგადოებაში რუსეთის უფრო მეტად ინტეგრაციას უთმობდა. ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც ის

ფაქტი, რომ სსრკ-ის დაშლის პირველ ეტაპზე ოფიციალურმა ვაშინგტონმა არ გააკრიტიკა რუსეთი იმის გამო, რომ ოფიციალური მოსკოვი უხეშად ჩაერია საქართველოსა და მოლდოვის ტერიტორიაზე მიმდინარე კონფლიქტებში. კერძოდ, როდესაც რუსეთი, თუ გაეროს მიერ ჯერ კიდევ 1974 წელს „აგრესიის განსაზღვრის შესახებ“ მიღებული 3314-ე რეზოლუციის შინაარსს დავეყრდნობით, უჭერდა რა მხარს დნესტრისპირეთში, აფხაზეთსა და ყოფილი სამხრეთი ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე მოქმედ სეპარატისტულ დაჯგუფებებს, „ირიბ“ აგრესიას ახორციელებდა ამ ორი პოსტსაბჭოთა რესპუბლიკის მიმართ¹.

1994-1996 წლებში ჩეჩნეთის ტერიტორიაზე ჩატარებული სისხლიანი ომის მიუხედავად, რომელმაც ათეულ ათასობით მშვიდობიანი მოქალაქის სიცოცხლე შეინირა², 1996 წელს რუსეთი ევროპის საბჭოში განწევრიანდა³, ხოლო 1997 წლის მაისში რუსეთსა და ნატოს შორის „თანამშრომლობის აქტი“ გაფორმდა⁴.

1998 წლიდან დასავლეთის დემოკრატიული საზოგადოების 7-მა წამყვანმა სახელმწიფომ, „დიდმა შვიდეულმა“, რუსეთს 7+1 ფორმატის შექმნა შესთავაზა⁵. მოგვიანებით კი, რუსეთის მიერ იუგოსლავიაში მილოშევიჩის ავტორიტარული რეჟიმის მხარდაჭერისა (როდესაც ეს უკანასკნელი კოსოვოში ალბანური მოსახლეობის გენოციდს აწყობდა) და ჩეჩნეთის ტერიტორიაზე 1999 წლიდან ახალი სისხლიანი სამხედრო ოპერაციის განხორციელების მიუხედავად, 2002 წელს ფუნქციონირება დაიწყო ნატო-რუსეთის საბჭომ⁶, ხოლო ფორმატი 7+1 „დიდ რვიანად“ გადაიქცა, სადაც რუსეთი სრულუფლებიან წევრად მიიღეს⁷.

2004 წელს საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადის რუსეთში, ქ. სოჭში, ჩატარების თაობაზე⁸. 2008 წლის შემდეგ კი, ანუ მას შემდეგ, რაც რუსეთმა საქართველოში ფართომასშტაბიანი აგრესია განახორციელა, დასავლეთს რუსეთის წინააღმდეგ არანაირი ეკონომიკური სანქციები არ შემოუღია და წლების განმავლობაში დასავლურ საზოგადოებაში გაყოფილი იყო აზრი იმის თაობაზე, თუ ვინ დაიწყო 2008 წელს პირველმა ომი – რუსეთმა თუ საქართველომ!!! ეს იმ პირობებში, როდესაც საომარი მოქმედ-

ბები საქართველოს – სუვერენული სახელმწიფოს, საერთაშორისო სამართლის სუბიექტის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა და სწორედ რუსეთის შეიარაღებული ძალები შემოიჭრნენ საქართველოს ტერიტორიაზე. აღსანიშნავია, რომ რუსეთთან მიმართებით ტერმინი „ოკუპაცია“ პირველად ევროპარლამენტის 2011 წელს მიღებულ რეზოლუციაში გაჟღერდა⁹. 2010 წელს კი ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ – ფიფამ – მიიღო გადაწყვეტილება რუსეთში 2018 წელს ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების თაობაზე¹⁰.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, რუსეთმა დასავლეთის, მათ შორის, აშშ-ის მხრიდან კრემლისაკენ გადადგმული კონსტრუქციული ნაბიჯები დასავლეთის სისუსტედ შეაფასა და, 21-ე საუკუნის პირველ დეკადაში ნავთობზე მსოფლიო ფასების ზრდის შედეგად მომძლავრებულმა, საერთაშორისო ასპარეზზე საკუთარი ძალის დემონსტრირებას შეუდგა.

შესაბამისად, 21-ე საუკუნის დასაწყისში რუსეთის აგრესიული პოლიტიკის გამოვლინების ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენდა 2007 წლის თებერვალში მიუნხენის ყოველწლიურ საერთაშორისო კონფერენციაზე უსაფრთხოების საკითხებზე გამართული დებატები. ამ ღონისძიებაზე ვ. პუტინმა აშშ-ს „ერთპოლარული“ მსოფლიო წესრიგის დამყარების მცდელობაში დასდო ბრალი. მისი აზრით, ნატოს გაფართოების პროცესს არაფერი ჰქონდა საერთო ევროპაში უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან. მოგვიანებით, რუსეთმა დასავლეთთან კონფრონტაციის გზაზე ახალი ნაბიჯი გადადგა. კერძოდ, კრემლმა მიიღო გადაწყვეტილება „ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების ხელშეკრულებიდან“ გასვლის შესახებ. აღსანიშნავია, რომ ეს ხელშეკრულება დაიდო 1990 წელს ძალთა ბალანსის მისაღწევად ნატოსა და ვარშავის ხელშეკრულების წევრებს შორის. ცხრა წლის შემდეგ გაფორმდა შეთანხმების ადაპტირებული ვერსია, რომლის მიხედვითაც, შეზღუდვები ჩვეულებრივ შეიარაღებაზე არა ბლოკზე, არამედ თითოეულ ქვეყანაზე ცალკე გავრცელდებოდა. 2007 წლის 14 დეკემბრიდან კი დასავლეთისათვის და, პირველ რიგში, აშშ-სათვის რუსეთი სამხედრო თვალსაზრისით უკვე საფრთხეს წარმოადგენდა. რადგანაც, ოფიციალურმა მოსკოვმა „ჩვეულებრივი შეიარაღების“

რადების შემცირების შესახებ ხელშეკრულებაზე“ მორატორიუმი სწორედ ამ დღეს, მოსკოვის დროით შუალამეს, ოფიციალურად აამოქმედა. შეიარაღების შემცირებაზე პასუხისმგებლობის მოხსნის შემდეგ რუსეთმა ნატოს წევრ ქვეყნებთან მოსაზღვრე რეგიონებში განლაგებულ რუსულ სამხედრო ბაზებზე ახალი სამხედრო ტექნიკა შეიყვანა¹¹. უკვე 2008 წელს კი მდგომარეობამ კულმინაციას მიაღწია, როდესაც დასავლეთის ქვეყნებმა ცნეს კოსოვოს დამოუკიდებლობა (კოსოვომ დამოუკიდებლობა 2008 წლის 17 თებერვალში გამოაცხადა) და ამავე დროს განაცხადეს, რომ კოსოვო იყო გამონაკლისი და სხვა შემთხვევაში, მათ შორის საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებთან მიმართებით, კოსოვოს პრეცედენტი ვერ გამოდგებოდა. თუმცა რუსეთი სხვანაირად ფიქრობდა, მან, დასავლეთის ქვეყნების მიერ კოსოვოს აღიარების საპასუხოდ, ისარგებლა რა ევროპის რამდენიმე წამყვანი სახელმწიფოს რუსეთისადმი ლოიალური დამოკიდებულებით (ამის ერთ-ერთი ნათელი დადასტურებაა ნატოს ბუქარესტის სამიტზე საქართველოსა და უკრაინისთვის განწვირების სამოქმედო გეგმის მინიჭებაზე ალიანსის რამდენიმე წევრის უარი და, საერთო ჯამში, ნატოს ფარგლებში ამ საკითხზე კონსენსუსის არარსებობა), 2008 წლის აგვისტოში საქართველოს წინააღმდეგ აგრესია განახორციელა.

აშშ-რუსეთის ურთიერთობები და „გადატვირთვის პოლიტიკის“ კრაზი

კრემლის მხრიდან განხორციელებული აგრესიის მიუხედავად, აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში ბარაკ ობამას გამარჯვების შემდეგ, უკვე 2009 წლის დასაწყისიდან, რუსეთ-აშშ-ის ურთიერთობაში გარკვეული დათბობა შეინიშნება, რომელიც ორ სახელმწიფოს შორის „გადატვირთვის პოლიტიკის“ დაწყებაში გამოიხატებოდა. ამ ნაბიჯის გადადგმით ვაშინგტონი იმედოვნებდა, რომ საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე რამდენიმე პრობლემის გადაწყვეტას შეძლებდა. თუმცა მოგვიანებით ნათლად გამოჩნდა, რომ აშშ-სა და რუსეთს შორის „გადატვირთვის“ პოლიტიკა, ოფიციალური კრემლის არაკონსტრუქციული პოლიტიკის

გამო, წარუმატებელი აღმოჩნდა. მოსკოვი კვლავ აგრძელებდა დასავლეთის კეთილგანწყობით სარგებლობას და მდგომარეობამ კულმინაციას უკრაინაში განვითარებული მოვლენების დროს მი-
აღწია, როდესაც უკვე 2014 მარტში რუსეთმა უკრაინის ტერიტო-
რიის, კერძოდ, ყირიმის პირდაპირი ოკუპაცია მოახდინა, ხოლო
უკრაინის აღმოსავლეთ ნაწილში შეიარაღებული ტერორისტების
პირდაპირი მხარდაჭერა დაიწყო.

თანამედროვე მდგომარეობა

დღევანდელ ეტაპზე, როდესაც „ცივი ომის“ ახალი რეალიები საოცარი სისწრაფით იკრებს ძალას, ოფიციალურ ვაშინგტონ-
სა და მოსკოვს შორის არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური, იდეოლოგიური თუ სხვა სახის დაპირისპირება ახალ ეტაპზე გა-
დავიდა. შესაბამისად, ჩნდება კითხვები: როგორია დღევანდელი მსოფლიო? შეინარჩუნებს თუ არა აშშ მსოფლიოში არსებული ერთადერთი სუპერსახელმწიფოს სტატუსს? როგორია ძალთა ბალანსი აშშ-სა და რუსეთს შორის, პირველ რიგში, ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით?

აშშ და რუსეთი დღეს

თანამედროვე მსოფლიოში აშშ-ის და რუსეთის გეოპოლიტი-
კური და გეოეკონომიკური გავლენის შედარებისას აუცილებელია შემდეგი ძირითადი ფაქტორების გათვალისწინება, კერძოდ:

- ამერიკა მსოფლიოში წარმოადგენს ერთადერთ ყველაზე ძლი-
ერ სამხედრო ძალას. 2014 წ. ამერიკამ თავდაცვაზე \$682 მილიარდი გამოყო¹², ხოლო უკვე 2018 წელს – 717 მილიარ-
დი, ანუ დაახლოებით ოთხჯერ მეტი, ვიდრე ჩინეთმა¹³.
- ამერიკას აქვს ყველაზე დიდი ეკონომიკა მსოფლიოში. 2010 წელს 500 უმსხვილეს ტრანსნაციონალურ კორპორაციას შო-
რის ამერიკული იყო 162. 2011 წლისათვის კი ამერიკა და მისი ევროპელი მოკავშირეები ერთობლივად მსოფლიო მშპ-
ის 60%-ზე მეტს აწარმოებდნენ¹⁴.

- ეკონომიკური პოტენციალის გათვალისწინებით, აშშ-ის მშპ – 20 ტრილიონ 412 მილიარდი დოლარი (2018 წლის მეორე კვარტალი)¹⁵ – ორჯერ უფრო დიდია ჩინეთის მშპ-ზე.
- ამერიკა სარგებლობს „უნივერსალური დოლარის“ უპირატესობითაც (რომელიც მსოფლიოს უცხოურ რეზერვებში 61,94%-ს შეადგენს). გარდა ამისა, აუცილებელია აღინიშნოს აშშ-ის დიდი გავლენა საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებში. მაგალითად, საერთაშორისო სავალუტო ფონდში ამერიკა ხმათა 16,75%-ს ფლობს, ხოლო მსოფლიო ბანკში – 12,87%-ს¹⁶.
- ყველაზე მაღალი ხარისხის სამეცნიერო-ტექნიკური კვლევები, კერძოდ, სამეცნიერო ჟურნალების 60%-ზე მეტი აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში იბეჭდება¹⁷.
- 21-ე საუკუნის დასაწყისში აშშ-ში 3 ათასამდე უნივერსიტეტი ფუნქციონირებდა, რომლებშიც 12 მილიონამდე სტუდენტი სწავლობდა¹⁸.
- კულტურული ფაქტორი – ყველაზე პოპულარული ტელე- და რადიოპროგრამების მაუწყებლობა ინგლისურ ენაზე მიმდინარეობს. 30 უმსხვილესი სარეკლამო სააგენტოდან 27 ამერიკულია. 44 უზარმაზარი კინოსტუდიიდან 32 არის ამერიკული ან ინგლისური. ამერიკა ფლობს კინოინდუსტრიის 85%-ს, თავის მხრივ, ინტერნეტის გამოყენების პროცესში ინგლისური ნამდვილი „lingua franca“-ს, ანუ სამუშაო ენას წარმოადგენს¹⁹.
- ზემოაღნიშნული ფაქტორების მიუხედავად, ინგლისური მშობლიური ენაა მსოფლიო მოსახლეობის მხოლოდ 7,8%-ისათვის. ამავე დროს, მთელ მსოფლიოში ინგლისურ ენაზე მოლაპარაკეთა რიცხვი 1,5 მილიარდ ადამიანს აჭარბებს და ეს რიცხვი მუდმივად იზრდება²⁰.

რუსეთის ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები

- დღევანდელ მსოფლიო პოლიტიკაში არსებული დაძაბულობის ფონზე, რომელიც რუსეთის აგრესიულ პოლიტიკას უკა-

ვმირდება, ბუნებრივია ისმის კითხვა, რამდენად მაღალია ამ ქვეყანაში ეკონომიკური ცხოვრების დონე? აღსანიშნავია, რომ მთლიანი შიდა პროდუქტის 2,6-ტრილიონიანი მაჩვენებლით, რუსეთის ეკონომიკა მსოფლიო რეიტინგში მე-6 ადგილს იკავებს. თუმცა, თუ რეალური ეკონომიკური მაჩვენებლების განსაზღვრისათვის ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელს გამოვიყენებთ (\$17 884), მსოფლიოში ტერიტორიის სიდიდითა და მოსახლეობის რაოდენობის მხრივ ეს ერთ-ერთი უდიდესი ქვეყანა (მოსახლეობა – 146 მილიონი) რეიტინგში მხოლოდ 58-ე ადგილს იკავებს²¹.

- მსოფლიო ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით, რუსეთში ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი მთლიანი შიდა პროდუქტის 40%-ს შეადგენს. ასევე აღსანიშნავია, რომ ავტორიტეტული საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ მიერ ჩატარებული კვლევების შესაბამისად, კორუფციის აღქმის ინდექსის მიხედვით, 177 ქვეყანას შორის რუსეთი პაკისტანსა და ბანგლადეშს შორის 127-ე ადგილს იკავებს. რუსეთი 61-ე ადგილზეა (142 ქვეყნიდან) ლეგატუმის კეთილდღეობის ინდექსით, რომლის თანახმადაც, ბიზნესსა და მთავრობაში კორუფციის მაღალი დონის არსებობის მოსახლეობის 78,6%-ს სჯერა²².
- უკეთესად არც ცხოვრების დონის სხვა რუსული ინდიკატორები გამოიყურება. მოსახლეობის სხვადასხვა სოციალურ ფენას შორის შემოსავლების მოცულობის უთანასწორობა რუსეთში ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრ-ქვეყნებს შორის ყველაზე მაღალია მექსიკისა და აშშ-ის შემდეგ. სიმდიდრის უთანასწორობაზე ნათლად მეტყველებს ის ფაქტი, რომ ქვეყანა მილიარდერების რაოდენობით მსოფლიოში მესამე ადგილს იკავებს. 110 რუსი მილიარდერი ფლობს ქვეყნის სიმდიდრის 35%-ს. შედარებისათვის, სხვა ქვეყნებში მილიარდერები, როგორც წესი, შინამეურნეობების მთლიანი სიმდიდრის მხოლოდ 1-2%-ს აკონტროლებენ. აშშ-შიც კი, სიმდიდრის მნიშვნელოვანი უთანასწორობის მიუხედავად, მთლიანი სიმდიდრის 40% 3,17 მილიონ ადამიანს შორის ნაწილდება²³.

- ყველა ზემოაღნიშნული პრობლემის მიუხედავად, რუსეთი თავისი უმდიდრესი ბუნებრივი რესურსებისა და ბირთვული პოტენციალის წყალობით მსოფლიო პოლიტიკაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. მსოფლიოში ნავთობისა და ბუნებრივი აირის 20% სწორედ რუსეთის ტერიტორიაზე მოიპოვება²⁴. გარდა ამისა, რუსეთი ერთ-ერთ უმდიდრეს ქვეყანას წარმოადგენს რიგი შავი და ფერადი ლითონების, მათ შორის, ოქროსა და პლატინის მარაგებით, ასევე ტყის რესურსებით და ა.შ. შესაბამისად, ჩნდება ლოგიკური კითხვა: ამ უდიდესი ბუნებრივი და სამრეწველო პოტენციალის გათვალისწინებით, რატომ არ ძალუძს რუსეთს გადაიქცეს ეკონომიკურად უფრო ძლიერ სახელმწიფოდ?
- „რადიო თავისუფლების“ ინფორმაციით, რუსი ემიგრანტების მზარდი სტატისტიკა 2012 წლიდან შეინიშნება. 2017 წელს რუსეთიდან ამერიკაში 2664 ადამიანი მოითხოვა თავშესაფარი, რაც 2016 წლის მონაცემებს 39%-ით აღემატება. ამასთანავე, 2017 წლის მაჩვენებელი აღემატება გასული საუკუნის 90-იანი წლების მაჩვენებელსაც, როდესაც სსრკ-ის დაშლისა და სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის ფონზე რუსეთის მოქალაქეები მასობრივად ცდილობდნენ აშშ-ში გადასვლას. აღსანიშნავია, რომ ამ მოთხოვნით გერმანიას გასულ წელს 4885-მა ადამიანი მიმართა²⁵.
- ზოგიერთი სპეციალისტის მოსაზრებით, რუსეთის ეკონომიკის მთავარი პრობლემა ე.წ. „ჰოლანდიური დაავადება“ – მართლაც, ნავთობისა და ბუნებრივი აირის სექტორი ექსპორტის 70%-ს და ქვეყნის შემოსავლების 50%-ს შეადგენს. ამ სექტორის გაფართოების შედეგად გამოწვეულმა კურსის გამყარებამ კი ქვეყნის საექსპორტო საქონლის გაძვირება და მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანობის დაქვეითება გამოიწვია²⁶.
- გარდა ამისა, კერძო სექტორის გავლით რუსეთიდან კაპიტალის გადინებამ 2018 წლის იანვარ-აპრილში 21 მლრდ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 17%-ით მეტია გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე. 2017 წელს რუსეთიდან წმინდა კაპიტალის გადინებამ 31,3 მლრდ. აშშ დოლარი შეადგინა. 2016 წელს ეს მაჩვენებელი 19,8 მლრდ. იყო²⁷.

დასკვნები და რეკომენდაციები

რუსეთთან გამართულ გეოპოლიტიკურ ჭიდილში აშშ-ის გამარჯვებისა და საერთაშორისო მშვიდობის უზრუნველყოფის ერთ-ერთ მთავარ გარანტს მსოფლიო დემოკრატიული ძალების, პირველ რიგში კი, აშშ-სა და ევროპას შორის სხვადასხვა სფეროში ტრანსატლანტიკური კავშირების განმტკიცება წარმოადგენს. შესაბამისად, სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით აუცილებელია შემდეგი რეკომენდაციების შემუშავება:

გეოპოლიტიკური ფაქტორები:

ანტიდემოკრატიული ტენდენციებისათვის წინააღმდეგობის გასაწევად აუცილებელია აშშ-მ და მისმა მოკავშირეებმა შეიმუშაონ საერთო სტრატეგია, კერძოდ:

- „გლობალური ჩრდილოეთის“ ქვეყნებს შორის ინტეგრაციული პროცესების ხელშეწყობა, როგორცაა ჩრდილოეთი ამერიკა-ევროპის საერთო ეკონომიკური სივრცის ჩამოყალიბება. ორ მხარეს შორის ტრანსატლანტიკური სავაჭრო და საინვესტიციო პარტნიორობის (TTIP – Transatlantic Trade and Investment Partnership) ფარგლებში შეთანხმების მიღწევა ატლანტიკის ორივე მხარეს დაახლოებით 100-100 მლრდ. აშშ დოლარის მოცულობის დამატებით შემოსავალს მოუტანდა²⁸;
- ანტიდასავლურ კავშირებთან (მაგ.: შანხაის ხელშეკრულების ორგანიზაცია, „ბრიქსი“ და ა.შ.) ურთიერთობების ფარგლებში დასავლეთის ქვეყნებში საერთო კონსენსუსის მიღწევა.

გლობალურ პროცესებში ნატოსა და ევროკავშირის მეტი ჩართულობა

- ნატოს მხრიდან თავდაცვითი ხარჯების ზრდის აუცილებლობა: როგორც ცნობილია, ნატოს წევრ ქვეყნებს ვალდებულება აქვთ აღებული, რომ თანამედროვე მსოფლიოში არსებული საფრთხეებისა და გამოწვევების ფონზე წევრი ქვეყნების თავდაცვის ბიუჯეტი არ უნდა იყოს 2%-ზე ნაკლები. დღეისათ-

ვის ამ კრიტიკიუმს ალიანსის მხოლოდ სამი სახელმწიფო აკმაყოფილებს. გეგმის მიხედვით, 2024 წლისათვის შესაბამის სტანდარტს ნატოს წევრი 29 ქვეყნიდან დაახლოებით 15 დააკმაყოფილებს. შესაბამისად, აუცილებელია ალიანსის ამერიკელ და ევროპელ მოკავშირეებს შორის მოლაპარაკება-თა გაგრძელება თავდაცვითი ხარჯების გაზრდის მიზნით²⁹;

- რაც შეეხება ნატოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობებს, 2003 წელს ხელმოწერილი „ბერლინ პლიუსის“ და ევროკავშირის ფარგლებში „ლისაბონის ხელშეკრულების“ მიღების შემდეგ ევროკავშირის როლი და გავლენა თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში მნიშვნელოვნად გაიზარდა. „ბერლინ პლიუსის“ შეთანხმება უფლებას აძლევს ევროკავშირს გამოიყენოს ნატოს სამხედრო პოტენციალი, მათ შორის, სამხედრო ავიაცია კრიზისული ვითარების დროს.

აშშ-სა და ევროპას შორის თანამშრომლობის განვითარების ენერგეტიკული ასპექტები და რუსეთი

აშშ-სა და ევროპას შორის ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობა, პირველ რიგში კი, რუსეთის გვერდის ავლით სხვადასხვა ენერგეტიკული პროექტის წარმატებით განხორციელება მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს საერთაშორისო მშვიდობის განმტკიცების საქმეში. კერძოდ, ოფიციალურმა ვაშინგტონმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს გასული საუკუნის 80-იან წლებში ენერგეტიკის სფეროში განვითარებული მოვლენები, როდესაც რეიგანის ადმინისტრაციამ დაარწმუნა საუდის არაბეთი, რომ სსრკ-ის ყველაზე დიდ დარტყმას ერთობლივად ნავთობის გაუფასურებით მიაყენებდნენ. 1985 წელს საუდის არაბეთმა ნახევარი წლის განმავლობაში ნავთობის მოპოვება სამჯერ გაზარდა. შედეგად, ერთი ბარელი ნავთობის ფასი 28 დოლარიდან 10 დოლარამდე დაეცა და ეს მოხდა იმავე პერიოდში ორ ძირითად ნავთობმომპოვებელ ქვეყანას – ირანსა და ერაყს – შორის მიმდინარე გაცხარებული საომარი მოქმედებების ფონზე. ამ პერიოდში საბჭოთა იმპერიის სავალუტო შემოსავლის ძირითად წყაროს ნავთობის ექსპორტი წარმოადგენდა. „შავ ოქროზე“

ფასების დაცემას 1985-1988 წლებში მოჰყვა სსრკ-ის ბიუჯეტის დეფიციტის დაახლოებით 5-ჯერ გაზრდა. ეკონომიკურ კრიზისს საბჭოთა ჯარების ავღანეთიდან და აღმოსავლეთ ევროპიდან გაყვანა, გერმანიის გაერთიანება, კომუნისტური რეჟიმის მიერ სამხედრო ხარჯების შემცირება და, საბოლოო ჯამში, საბჭოთა კავშირის დანგრევა მოჰყვა³⁰.

დღესდღეობით ოფიციალური კრემლი იძულებული გახდება ანგარიში გაუწიოს იმ ფაქტს, რომ რამდენიმე წლის წინ აშშ-ში დანყებული „ფიქლის რევოლუცია“ რუსეთის პოზიციებს სერიოზულად ემუქრება. ენერგომატარებლების ბაზარზე კონკურენციის გაზრდა და მსოფლიო, განსაკუთრებით კი, ევროპულ ბაზარზე ნავთობისა და გაზის დამატებითი მოცულობის გამოჩენა ამ რესურსების ფასების დაწევას გამოიწვევს, რაც დიდ პრობლემებს შეუქმნის ენერგორესურსების ექსპორტზე დამყარებულ ავტორიტარულ რეჟიმებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დანვრილებით იხ: Definition of Aggression, United Nations General Assembly Resolution 3314 (XXIX). Retrieved from: <http://hrlibrary.umn.edu/instreet/GAres3314.html>
2. მოდებაძე ვ., ჩეჩენი ერის ბრძოლა თავისუფლებისათვის, გამომცემლობა „ბრიფონი“, თბილისი, 2015.
3. Jean-Pierre Massias. 2007. Russia and the Council of Europe: Ten Years Wasted? Retrieved from: https://www.ifri.org/sites/default/files/atoms/files/ifri_CE_massias_ang_jan2007.pdf
4. NATO Handbook. 2006. NATO Public Diplomacy Division. Brussels, Belgium. P. 32
5. Council of Foreign Relations. Group of Seven. 2017. Retrieved from: <https://www.cfr.org/background/group-seven-g7>
6. NATO Handbook. 2006. NATO Public Diplomacy Division. Brussels, Belgium. P. 37
7. Council of Foreign Relations. Group of 8 Industrialized Nations. Retrieved from: <https://www.cfr.org/background/group-eight-g8-industrialized-nations>

8. Reuters. 2007. Russia awarded 2014 Winter Games. Retrieved from: <https://www.reuters.com/article/us-olympics-vote-sochi/russia-awarded-2014-winter-games-idUSSP26557720070705>
9. Civil.ge. 2011. European Parliament Resolution on Georgia. Retrieved from: <https://old.civil.ge/eng/article.php?id=24156>
10. The Guardian. 2018. How Russia Won the World Cup 2018. Retrieved from: <https://www.theguardian.com/news/2018/jun/14/how-russia-won-the-world-cup>
11. ჩიტაძე, ნ. ნატო-ჩრდილოატლანტიკური ალიანსი, მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი, 2008, გვ. 147-148.
12. Tutor Hunt. 2016. *Is The United States Still A Globally Hegemonic World Power?* Retrieved from <https://www.tutorhunt.com/resource/11927/>
13. CNBC. 2018. Trump gives \$717 billion defense bill a green light. Here's what the Pentagon is poised to get. Retrieved from: Retrieved from: <https://www.cnbc.com/2018/08/13/trump-signs-717-billion-defense-bill.html>
14. დავითაშვილი ზ., ელიზბარაშვილი ნ., გლობალური გეოგრაფია, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2012. გვ. 24.
15. The Balance. 2018. US GDP Statistics and How to use them? Retrieved from: <https://www.thebalance.com/u-s-gdp-5-latest-statistics-and-how-to-use-them-3306041>
16. Chitadze, N. Beruashvili, N. Globalization as One of the Main Indicators of the New World Order and the Role of U.S. in This Process. Journal in Humanities. Volume 6/issue 2/ December/2017. Tbilisi, Georgia. pp. 23-31
17. დავითაშვილი ზ., ელიზბარაშვილი ნ., გლობალური გეოგრაფია, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2012. გვ. 25.
18. რონდელი, ა., 2003. *საერთაშორისო ურთიერთობები*. გამომცემლობა „ნეკერი“.
19. დავითაშვილი ზ., ელიზბარაშვილი ნ., გლობალური გეოგრაფია, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2012. გვ. 27.
20. Saint George International. 2015. *How Many People In The World Speak English?* Retrieved from <http://www.stgeorges.co.uk/blog/learn-english/how-many-people-in-the-world-speak-english>
21. ISET Policy Institute. 2014. რუსეთის ეკონომიკის საიდუმლო.
22. ISET Policy Institute. 2014. რუსეთის ეკონომიკის საიდუმლო.
23. ISET Policy Institute. 2014. რუსეთის ეკონომიკის საიდუმლო.

24. ნეიძე, ვ., მსოფლიოს ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფია, გამომცემლობა „ლევა“, 2004.
25. რეზონანსი., რატომ ტოვებს მოსახლეობა რუსეთს? 2018 წლის 7 მაისი.
26. ISET Policy Institute. 2014. რუსეთის ეკონომიკის საიდუმლო.
27. მედია ბიზნესისთვის. 2018. რუსეთიდან კაპიტალის გადინება 21 მილიარდ დოლარს მიაღწია. Retrieved from: <https://m2b.ge/post/203132-rusetidan-kapitalis-gadinebam-4-tvesi-21-mlrd-s-miarwia>
28. European Commission. 2018. Transatlantic Trade and Investment Partnership. Retrieved from: <http://ec.europa.eu/trade/policy/in-focus/ttip/about-ttip/impact/>
29. ჩიტაძე, ნ., ჯებისაშვილი, ქ., საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები და ახალი პერსპექტივები ქვეყნის ნატოში განევრინების გზაზე., 2018 იხ: <http://centerforis.blogspot.com/search?updated-max=2018-03-18T14:02:00-07:00&max-results=7&start=16&by-date=false>
30. Полит Онлайн. США предложили обанкротить Россию. 2011. Читайте больше на <http://www.politonline.ru/provocation/9379.html>

